ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

დავით კაკაბაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

კახაბერ წერეთელი – კოლეგიის წევრი

მარინა კვაჭაძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: კ. შ

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 09.01.2012

საჩივრის რეგისტრაციის №001/12

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლ. ხ.–ს მიმართ /სიითი № /

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. ხ.–ს მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2012 წლის 09 იანვარს კ. შ-მ მომართა სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ლ. ხ.–ს მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ლ. ხ.–ს უნდა დაეცვა მისი უფლებები. ამ მიზნით გაუფორმა მას რწმუნებულება. ადვოკატმა დაიწყო კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა განხორციელება. კ. შ.–ს უწევდა არამიზნობრივად უამრავი თანხის ხარჯვა, როგორიც იყო ადვოკატის გზის ხარჯები და სხვა.

1.3 საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ადვოკატი მის მოწინააღმდეგე მხარესთან და ეკოპოლიციასთან ერთად მოქმედებდა მისი ინტერესების წინააღმდეგ. ადვოკატმა მასთან საუბრისას აღნიშნა, რომ მეორე მხარესთან მისი ინტერესებიდან გამომდინარე თანამშრომლობდა.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი თავს არიდებდა იმის გაკეთებას, რასაც ის ეუბნებოდა. ადვოკატმა პროკურატურაში შეტანილ სარჩელზე იცრუა და განაცხადა, რომ ვითომ გ. გ.–მ ის და ეკოპოლიცია შეიყვანა შეცდომაში, რომ კ. შ.–ს აუნაზღაურებდა ზიანს, რაც სინამდვილეს არ შეეფერებოდა. საჩივრის ავტორის მტკიცებით, ადვოკატის განცხადებებს რეაგირება არ მოჰყოლია და ადვოკატმა არაფერი გააკეთა მისი ინტერესების დაცვის მიზნით.

1.5 საჩივრის ავტორს შეტყობინება ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიასთან 2012 წლის 03 თებერვალს გასაუბრებაზე დაბარების თაობაზე ჩაბარდა, მაგრამ მასთან გასაუბრება ვერ შედგა მისი გამოუცხადებლობის გამო.

1.6 საჩივრის ავტორმა 2012 წლის 08 თებერვალს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა დამატებითი ახსნა-განმარტება.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი მხილებული იქნება ბოროტმოქმედთა დაჯგუფების მფარველობაში, იგი თაღლითურ ქმედებებს ფულის გამო დათანხმდა და ეთიკის კომისიას მიმართავს კარგად შეისწავლოს ადვოკატის ქმედებები.

1.8 2012 წლის 11 მაისს საჩივრის ავტორი მოწვეული იყო განხილვის კოლეგიის სხდომაზე, მაგრამ შეტყობინების ჩაუბარებლობის გამო ვერ გამოცხადდა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ლ. ხ.–მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2012 წლის 12 იანვარს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, 2011 წლის 11 მაისს განცხადებით მიმართა კ. შ.–მ და სთხოვა მისი ინტერესების დაცვა. ის ცხოვრობდა ბენზოგასამართი სადგურის გვერდით და პრეტენზია გააჩნდა მისი მეპატრონის მიმართ, რადგან მისი თქმით მას არსწორად ჰქონდა ბენზოგასამართი სადგურის მშენებლობა წარმოებული, დარღვეული იყო უსაფრთხოების ნორმები და გარემოს ეკოლოგიური დაბინძურების საშიშროება არსებობდა. 2011 წლის 14 მაისს გააფორმეს ხელშეკრულება №0027 და შეთანხმდნენ პირობებზე, რომ გადახდა იწარმოებდა ყოველი თვის 25 რიცხვში თანხის ანგარიშზე დარიცხვით, ასევე იყო ზეპირი შეთანხმება, რომ მას იმჟამად არ გააჩნდა თანხა, მაგრამ საქმისწარმოება უნდა

დაწყებულიყო დაუყოვნებლივ, რადგან ბენზოგასამართი სადგურის მეპატრონე, გ. ა., აპირებდა მის გასხვისებას და იქმნებოდა საშიშროება, რომ მის მიერ არ იქნებოდა ანაზღაურებული მისთვის მიყენებული ზიანი.

2.3 ადვოკატის განმარტებით, კ. შ.–ს მიერ თანხის გადაუხდელობის მიუხედავად მაინც დაიწყო მისი საქმის წარმოება. ამისათვის მიმართა სამეგრელო ზემო სვანეთის ბუნებრივი რესურსების დაცვის სააგენტოს და მოითხოვა შემდგარიყო შესაბამისი კომისია, ჩატარებულიყო გამოკვლევა და შემოწმებულიყო ბენზოგასამართი სადგური. მოითხოვა დაედოთ შესაბამისი დასკვნა ჰქონდა თუ არა ადგილი დარღვევასა და დაბინძურებას, რაზეც მიიღეს პასუხი, რომ შესაკეთებლი იყო წყალგაყვანილობის მილები და არხები, რადგან არ დაეტბორა კ. შ–ს ეზო-კარი. აღნიშნული დასკვნის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ სასამართლოში შეეტანათ სარჩელი იმ ზიანის ანაზღაურების მიზნით, რაც მიადგა კ. შ.–ს სადგურიდან გადმოსული წყლით და ნარჩენებით, რისთვისაც ე.ი ზიანის დასათვლელად სავალდებულო გახდა აუდიტორული დასკვნა.

2.4 ადვოკატის განმარტებით, კ. შ.–ს აღნიშნული სახლ-კარი საჯარო რეესტრში არ ჰქონდა დარეგისტრირებული და საჭიროებდა რეგისტრაციას. მან კ. შ.–ს განუმარტა, რომ რეგისტრაციასაც და აუდიტსაც სჭირდებოდა თანხები, რაც კლიენტს არ გააჩნდა და შესაბამისად მან ვერ წარმოადგინა ის დოკუმენტები და მტკიცებულებები, რაც საჭირო იყო საქმის წარმოების გასაგრძელებლად, მიუხედავად იმისა, რომ იგი გაფრთხილებული იქნა მოსალოდნელი ხარჯებისა და ადვოკატის ანაზღაურების შესახებ.

2.5 ადვოკატის განმარტებით, კ. შ.–მ დაარღვია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების 3.1.4; 3.2.4-3.2.9 პუნქტები. აღნიშნულის გამო წერილობით გააფრთხილა იგი 2011 წლის 30 იანვარს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც საჩივრის ავტორმა გამოხატა უკმაყოფილება და აღნიშნული საფუძლად დაედო ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანას.

2.6 ადვოკატის განმარტებით, საადვოკატო მომსახურებისთვის მიღებული აქვს მხოლოდ 60 ლარი და მისთვის გაუგებარია საჩივრის ავტორის პრეტენზია თანხების არამიზნობრივ ხარჯვასთან დაკავშირებით.

2.7 ადვოკატის განმარტებით, განმცხადებელთან შეთანხმებით გადაწყვიტა მის ოპონენტთან მოლაპარაკებაზე წასვლა, რომ მისთვის აენაზღაურებინა ზიანის თანხა, ასევე მეორე მხარე, გ. გ.–ც, თანახმა იყო რომ კ. შ.–სთან ეწარმოებინა მოლაპარაკება. შეხვედრისას კ.-მ მას მოსთხოვა თანხა 50 000 აშშ დოლარი, რაზედაც მხარემ დასახელებული თანხა მიიჩნია არარეალურად და მათ შორის მოლაპარაკება არ შედგა.

2.8 ადვოკატის განმარტებით, კ. შ. ამ გარემოებათა გამო გაღიზიანდა და ადვოკატის დაუკითხავად დაიწყო საჩივრების წერა პროკურატურაში, პოლიციაში, სასამართლოში, ასევე უჩივლა საჯარო რეესტრის ერთ-ერთ თანამშრომელს, რომ იგი არ ურეგისტრირებდა ქონებას შეგნებულად, ხოლო რეალურად რეგისტრირებულ მონაცემებში იყო ზედდება და საჭიროებდა კორექტირებულ აზომვით ნახაზს, რაც კ. შ.–ს არ გაუკეთებია თანხის უქონლობის გამო.

2.9 ადვოკატის განმარტებით, გაარკვია, რომ კ. შ არის მეტადონის პროგრამაში და ყოველთვის იმყოფება ფსიქოტროპული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ, რაც მის საქციელს ხდის არაადეკვატურს და არის სულ მუდამ გაღიზიანებული, რამაც მასში გამოიწვია საფუძვლიანი ეჭვი მის ქმედუნარიანობასთან დაკავშირებით.

2.10 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორი არ ასრულებდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის, საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის 9-10-11 პუნქტების და 2011 წლის 14 მაისის № ხელშეკრულების 3.1.4 პუნქტის შესაბამისად შეუწყვიტა ხელშეკრულება.

2.11 ადვოკატი ლ. ხ. 2012 წლის 18 იანვარს ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიასთან გასაუბრებაზე გამოცხადდა და წერილობით უპასუხა ეთიკის კომისიის წევრთა კითხვებს.

2.12 ადვოკატმა დაადასტურა მის ახსნა-განმარტებაში მოყვანილ გარემოებათა მართებულობა და განმარტა, რომ ქ. ფოთის ნარკოლოგიური ცენტრის მიერ 2012 წლის 13 იანვრის №2 ცნობა წარმოადგინა საკუთარი პოზიციის დასაცავად.

2.13 2012 წლის 11 მაისს განხილვის კოლეგიის სხდომაზე გამოცხადდა ადვოკატი ლ. ხ. და განმარტა, რომ საჩივრის ავტორთან გაფორმებული მინდობილობის გამოყენებით, მაშინ როდესაც მასთან ხელშეკრულება შეწყვეტილი ჰქონდა, ,,შპს ფოთის რეგიონალური ნარკოლოგიური ცენტრიდან" გამოითხოვა ინფორმაცია საჩივრის ავტორის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ადვოკატმა აღნიშნა, რომ მას თავისი პოზიციის დასაცავად სჭირდებოდა ცნობა და საჩივრის ავტორისთვის ზიანი არ მიუყენებია.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2012 წლის 09 თებერვალს ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატს არ ჰქონდა დარღვეული კლიენტისათვის კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელების ვალდებულება და არ აღძრა დისციპლინური დევნა მოცემული ვალდებულების დარღვევის საფუძლით, თუმცა მიიღო გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე, ჩათვალა რა, რომ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ლ. ხ.–მ კ. შ–ს ჯანმრთელობის შესახებ ,,შპს ფოთის რეგიონალური ნარკოლოგიური ცენტრიდან" ინფორმაციის მოთხოვნის განცხადებას დაურთო ორდერი ან მინდობილობა, მაშინ როდესაც მხარეთა შორის შეწყვეტილი იყო საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება ადვოკატის მიერ, ადვოკატ ლ. ხ.–ს მიერ შეიძლება დარღვეულად ჩათვლილიყო ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ,,ა" პუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი.

3.2 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის შეფასებით, ადვოკატსა და კლიენტს შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, ადვოკატს უფლება არა აქვს ისარგებლოს კლიენტის მიერ გაცემული მინდობილობით, ორდერით და სხვა

დოკუმენტებით, თუნდაც ეთიკის კომისიაში საკუთარი თავის დაცვისათვის მტკიცებულების მოსაპოვებლად.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფატობრივი გარემოებები

4.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 ადვოკატმა ლ. ხ.–მ 2011 წლის 30 დეკემბერს ვადამდე ადრე შეწყვიტა საჩივრის ავტორთან დადებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, მინდობილობა კი ისევ ძალაში იყო.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ადვოკატ ლ. ხ.–ს 2012 წლის 12 იანვრის ახსნა-განმარტება (ს.ფ 23)
2. 2011 წლის 30 დეკემბრის წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების ვადამდე ადრე შეწყვეტის შესახებ (ს.ფ. 29)
3. 2011 წლის 30 დეკემბრის ოქმი კ. შ.–ს მიერ წერილობითი შეტყობინების ხელშეკრულების ვადამდე ადრე შეწყვეტის არ ჩაბარების თაობაზე (ს. ფ. 30)
4. ეთიკის კომისიის 2012 წლის 11 მაისის განხილვის კოლეგიის სხდომის ოქმი (ს.ფ. 57)

4.1.2 ლ. ხ.–მ 2012 წლის 12 იანვარს ,,შპს ფოთის რეგიონალური ნარკოლოგიური ცენტრიდან“ გამოითხოვა ინფორმაცია საჩივრის ავტორის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მინდობილობის საფუძველზე, მაშინ როდესაც 2011 წლის 30 დეკემბერს კ. შ.–სთან შეწყვიტა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ადვოკატ ლ. ხ.–ს 2012 წლის 12 იანვრის ახსნა-განმარტება (ს. ფ. 22)
2. ადვოკატ ლ. ხ.–ს 2012 წლის 18 იანვრის ახსნა-განმარტება (ს. ფ. 36)
3. ,,შპს ფოთის რეგიონალური ნარკოლოგიური ცენტრის“ ცნობა № (ს.ფ. 33)
4. ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2012 წლის 11 მაისის სხდომის ოქმი (ს. ფ. 56, მე-10 აბზაცი; 57, მე-7 აბზაცი)

6 შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ლ. ხ.–ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

7 სამართლებრივი შეფასება

7.1 ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ლ. ხ.–ს მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები: ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ,,ა'' პუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი:

7.1.1 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ,,ა" პუნქტი: ,,საადვოკატო საქმიანობის პრინციპებია: ა) კანონიერება."

7.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი: ,,ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა."

7.2 ეთიკის კომისია იზიარებს საპროცესო კოლეგიის 2012 წლის 09 თებერვლის დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე გადაწყვეტილებაში ადვოკატის ქმედების – საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ მინდობილობით სარგებლობის სამართლებრივ შეფასებას.

7.3 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, ადვოკატს უფლება არა აქვს ისარგებლოს კლიენტის მიერ გაცემული მინდობილობით, ორდერით და სხვა დოკუმენტებით.

7.4 მოცემულ შემთხვევაში ადვოკატმა კ. შ.–სთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება შეწყვიტა 2011 წლის 30 დეკემბერს, ხოლო ,,შპს ფოთის რეგიონალურ ნარკოლოგიურ ცენტრს" ყოფილი კლიენტის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის განცხადებით მიმართა 2012 წლის 12 იანვარს.

7.5 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიერ ყოფილი კლიენტის ჯანმრთელობის შესახებ ადვოკატის მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, ვინაიდან კონფიდენციალურად მიიჩნევა ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობისას როგორც უშუალოდ კლიენტისაგან, ასევე ადვოკატის მიერ სხვა წყაროდან მიღებული ინფორმაცია. მართალია, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, ადვოკატი უფლებამოსილია გაამჟღავნოს ის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ეთიკის კომისიაში ყოფილი კლიენტის მიერ წაყენებული ბრალდებისაგან თავის დასაცავად, მაგრამ ეთიკის კომისიის შეფასებით ადვოკატმა თავი უნდა დაიცვას კანონის დაცვით მოპოვებული მტკიცებულებებით.

7.6 კლიენტი ადვოკატს მინდობილობას/ორდერს გადასცემს მისი ინტერესების დაცვის მიზნით და იგი უფლებამოსილი არ არის აღნიშნული დოკუმენტები გამოიყენოს კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ, მათ შორის საკუთარი ინტერსების დასაცავად, მოცემულ შემთხვევაში კი ისარგებლოს რა კლიენტის მინდობილობით/ორდერით და ეთიკის კომისიაში კლიენტის ბრალდებისაგან თავის დასაცავად წარსადგენი ინფორმაცია გამოითხოვოს მისი სახელით. ეთიკის კომისია თვლის, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ყოფილი კლიენტის მიერ გაცემული დოკუმენტაციით სარგებლობის აკრძალვას, ვინაიდან ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით განხორციელებული ქმედებები მესამე პირების მიერ განიხილება, როგორც კლიენტის ნების გამოხატულება და როგორც წესი ეჭვქვეშ არ დგება ადვოკატის საიმედოობა და კეთილსინდისიერება.

7.7 მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი ადასტურებს, რომ 2012 წლის 12 იანვარს ,,შპს ფოთის რეგიონალური ნარკოლოგიური ცენტრიდან“ საჩივრის ავტორის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მინდობილობის საფუძველზე გამოითხოვა. 2012 წლის 12 იანვრის მდგომარეობით ადვოკატსა და საჩივრის ავტორს შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება შეწყვეტილი იყო ადვოკატის ინიციატივით 2011 წლის 30 დეკემბერის თარიღით. მართალია, ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ მინდობილობა ისევ ძალაში იყო, თუმცა ადვოკატმა იცოდა, რომ კ. შ.–სთან ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობა დასრულებული იყო და მას საჩივრის ავტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება აღარ ჰქონდა.

7.8 ეთიკის კომისია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ადვოკატის მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია მიეკუთვნება ადამიანის კერძო სფეროს, წარმოადგენს პირადი მონაცემების საიდუმლოებას, რომლის განსაიდუმლოებისთვის დაცული უნდა იყოს კანონით განსაზღვრული წესი. ,,პაციენტის უფლებების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად, პაციენტის წარმომადგენლს პაციენტის ქმედუნარიანობისას უფლება აქვს სამედიცინო ჩანაწერებს გაეცნოს მისი თანხმობის შემთხვევაში. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატმა, როგორც საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა, ისე გამოითხოვა ინფორმაცია საჩივრის ავტორის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და არც საჩივრის ავტორის თანხმობა ჰქონდა, რაც არღვევს კანონიერებისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპებს.

7.9 ეთიკის კომისიამ დისციპლინური პასუხისმგებლობის განსაზღვისას გაითვალისიწინა ადვოკატის აღიარება, ასევე ის გარემოება, რომ მან მოცემული მინდობილობა გამოიყენა ეთიკის კომისიაში საკუთარი პოზიციის გასამყარებლად და მიზნად არ ისახავდა კ. შ.–სთვის ზიანის მიყენებას.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით, 35-ე მუხლით; ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ,,ა'' პუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20 მუხლებით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ლ. ხ.–ს მიმართ /სიითი №/ დისციპლინური ზემოქმედების ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. კერძო სარეკომენდაციო ბარათის ასლი შეინახოს დისციპლინურ საქმეში დაბეჭდილი კონვერტით. მისი გახსნა მოხდეს იმ შემთხვევაში თუ ადვოკატ ლ. ხ.–ს წინააღმდეგ დაიწყება ახალი დისციპლინური დევნა.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
4. ადვოკატ ლ. ხ.–ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ. №32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე: /დავით კაკაბაძე/

კომისიის წევრი: /კახაბერ წერეთელი/

კომისიის წევრი: /მარინა კვაჭაძე/